



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/5993-15

27 მაისი 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე - ქეთევან მესხიშვილი

სხდომის მდივანი – გიორგი მარანელი

აპელანტი (მოწინააღმდეგე მხარე) – შპს „ა.“

წარმომადგენელი - ბ. გ., გ. ტ.

მოწინააღმდეგე მხარე (აპელანტი) – სს „ი. ე.“

წარმომადგენელი – ა. კ. და ი. ხ.

დავის საგანი – სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის (შპს „ა.-ს“) მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება
2. აპელანტის სს „ი. ე.-ს“) მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

სასარჩელო მოთხოვნა:

- 1.1. შპს „ა.-ს“ სს „ი. ე.-ს“ სასარგებლოდ, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისროს დავალიანების 6050 ლარის გადახდა.
- 1.2. შპს „ა.-ს“ სს „ი. ე.-ს“ სასარგებლოდ, დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით 1633,14



ლარის გადახდა.

1.3. შპს „ა.-ს“ სს „ი. ე.-ს“ სასარგებლოდ, მიუღებელი შემოსავლის სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1,90 ლარის გადახდის დაკისრება, სარჩელის შემოტანიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სს „ი. ე.-ს“ სარჩელი მოპასუხე შპს „ა.-ს“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე შპს „ა.-ს“ მოსარჩელე სს „ი. ე.-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა სადაზღვევო შესატანის (პრემიის) 6 050 ლარის გადახდა; სს „ი. ე.-ს“ სარჩელი შპს „ა.“-სათვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. 2012 წლის 16 ნოემბერს, სს „ი. ე. ი.“ შერწყმის გზით მიუერთდა სს „ა. ბ.-ს“, რომელმაც 2013 წლის 2 ივლისს შეიცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა სს „კ. ა.“, ხოლო 2014 წლის 31 ივლისს დასრულდა სს „კ. ა.-ს“ რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად სს „კ. ა.-ს“ გამოეყო 2 იურიდიული პირი სს „კ. ა.“ და სს „კ. ე.“, რეორგანიზაციის დროს სს „კ. ა.-მ“ კიდევ ერთხელ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და მის საფირმო სახელწოდებად განისაზღვრა სს „ი. ე.“. შესაბამისად ის წარმოადგენს სს „ი. ე. ი.-ს“ სამართალმემკვიდრეს და უფლებამონაცვლეს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ს.ფ. 23-24)
- აქციონერთა კრების ოქმები (ს.ფ. 27-41);

2.2. შპს „ა.-ს“ დაზღვევის პრემიის სახით, სს „ი. ე.-სთვის“ გადახდილი აქვს 2012 წლის ივნისის და ივლისის პრემია 1210 ლარი.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- საგადასახადო დავალება (ს.ფ. 42-43);
- მხარეთა განმარტება

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებულია ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ შპს „ა.-სა“ და სს „ი. ე.-ს“ შორის არ გაფორმებულა ხელშეკრულება ჯანმრთელობის დაზღვევის თაობაზე და მათ შორის ურთიერთობის გაგრძელება დამოკიდებული იყო 2 თვის ვადაში მომსახურების მოწოდების პირობაზე, შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ



გათვალისწინებული ფორმით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

მოსარჩელე მოპასუხესთან სადაზღვევო ურთიერთობის დაწყებას მოწონების პირობით, არ ადასტურებს. ხელშეკრულებაში დათქმა, რომ დაზღვევის ურთიერთობა მოწონების პირობას ემყარებოდა, მითითებული არ არის. საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ დასტურდება.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია დაზღვევის 2012 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების 8.6 პუნქტს, სადაც აღნიშნულია, რომ წინამდებარე ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი 1,2 და 3 და ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2012 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების დანართები (დანართი №1, №2 და №3), ხელმოწერილია შპს „ა-ს“ უფლებამოსილი პირის დირექტორის ლ. ტ.-ს მიერ. ხელმოწერა მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია.

2012 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მათი ურთიერთკავშირი ადასტურებს, რომ სს „ი. ე.-სა“ და შპს „ა-ს“ შორის, 2012 წლის 1 ივნისს გაფორმდა №01/06/2012-26 ხელშეკრულება ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ, რომლის საფუძველზეც შპს „ა-მ“ დააზღვია თავისი თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობა (დანართი №3) და იკისრა ვალდებულება გადაეხადა სადაზღვევო პრემია ხელშეკრულებაში მითითებული წესითა და ოდენობით. (დანართი №2);

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2012 წლის 1 ივნისის დაზღვევის ხელშეკრულების და მისი №2 დანართის საფუძველზე, სადაზღვევო პრემიის სახით მოპასუხეს საერთო ჯამში გადახდილი აქვს ორი თვის ივნისისა და ივლისის თვეების სადაზღვევო პრემია - 1210 ლარის ოდენობით. ამდენად, ზემო აღნიშნული და გარიგების მხარის შპს „ა-ს“ მოქმედება - სადაზღვევო პრემიის გადახდა, ადასტურებს დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობას ამ ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით.

2.4. 2012 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შპს „ა-ს“ თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა დამზღვევის მიერ წარდგენილი სიის მიხედვით (დანართი #2). ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით, 2012 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 1 ივნისამდე. ყოველთვიური სადაზღვევო პრემია განისაზღვრა 605 ლარით, რომელიც გადახდილი უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 30 რიცხვამდე.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება (ს.ფ. 12-16)
- სამედიცინო დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების დანართი №2 (ს.ფ. 19)
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

2.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2012 წლის 1 ივნისის ხელშეკრულება მოპასუხის ინიციატივით შეწყვეტილი არ არის.



ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის დებულებებით. შესაძლოა, რომ მხარეებმა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები თავადაც განსაზღვრონ.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა 2012 წლის 1 ივნისის ხელშეკრულების მე-5 პუნქტით დადგინდეს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და ასეთად განსაზღვრეს შემდეგი: წინასწარ წერილობითი შეთანხმება; მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში; დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში; ვალდებულებების შეუსრულებლობა; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი განამტკიცებს იმ პირობებსა და გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში მხარეს შეუძლია, გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ესენია ვალდებულების შესრულებაზე დამატებითი ვადის გასვლა და ინტერესის დაკარგვა ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მიმართ. სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით, რაც ასევე გათვალისწინებული იქნა 2012 წლის 1 ივნისის ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებითაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დასადგენად, კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. მოსარჩელე მოვალეა დაამტკიცოს ფაქტები, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მის მოთხოვნას, ხოლო იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ასეთი მოთხოვნის უფლებას გააქარწყლებენ - დაკისრებული აქვს მოპასუხეს. აქვე აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ფაქტების დამტკიცებას იწყებს მოსარჩელე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს მის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს ამ ფაქტებს, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე. შესაბამისად, მოპასუხე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის შესაგებელს, მაშასადამე მან არამართო უნდა გამოთქვას საპირისპირო მოსაზრება კონკრეტულ მტკიცებულებასა და ფაქტთან დაკავშირებით, არამედ უნდა დაასაბუთოს იგი. ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება კი შესაძლებელია თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მოპასუხე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მან მოსარჩელეს გაუგზავნა შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და ასეთად მიუთითებს მოსარჩელის ერთ-ერთი თანამშრომლის სატელეფონო ინფორმირებაზე. მოპასუხის მიერ მითითებული ამ



გარემოების დასადასტურებლად საქმეში რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. მოსარჩელე უარყოფს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების მიღებას. მოპასუხე მხარის მხოლოდ ზეპირი განმარტება სასამართლომ არ გაიზიარა. ურთიერთსაწინააღმდეგოა მოპასუხის მოსაზრებები მისი ვალდებულების არ არსებობის დასადასტურებლად მითითებული გარემოებების კონტექსტში. ერთის მხრივ მოპასუხე საერთოდ უარყოფს დაზღვევის ვადიანი ხელშეკრულების არსებობას, მეორეს მხრივ მიუთითებს, რომ ხელშეკრულება შეწყვიტა, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ ვადიანი დაზღვევის ხელშეკრულება მხარეთა შორის არსებობდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.6. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის საფუძველია მხარეთა შორის 2012 წლის 1 ივნისს გაფორმებული ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 1 ივნისის ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე: ხელშეკრულების საგანზე, დაზღვევის პერიოდზე, სადაზღვევო თანხაზე, სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მოცულობაზე, გადახდის ვადაზე. მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება აენაზღაურებინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ზიანი, ხოლო შპს „ა.-მ“ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა სადაზღვევო პრემია ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვიურად 605 ლარი, სულ 7260 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დამზღვევმა დაარღვია სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება - გადაიხადა მხოლოდ 2 თვის სადაზღვევო პრემია - 1210 ლარის ოდენობით. ასევე დადგენილი იქნა, რომ სადაზღვევო ურთიერთობა მხარეებს შორის არ შეწყვეტილა და გრძელდებოდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლომ განმარტა, რომ დამზღვევმა სადაზღვევო შესატანი უნდა გადაიხადოს იმ ვადებში, რაც დადგენილია დაზღვევის ხელშეკრულებით, მაგრამ თუ დამზღვევმა გადააცილა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადას და დროულად არ შეიტანა იგი, მზღვეველს უფლება აქვს



წერილობით განუსაზღვროს ორკვირიანი ვადა და გააფრთხილოს დამზღვევი იმ შედეგებზე, რომელიც მოყვება ვადის გასვლას. ამ ვადის გასვლის შემდეგ მზღვეველს უფლება აქვს გამოიყენოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები დამზღვევის მიმართ. მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლით მოწესრიგებულია დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი დაარღვევს პრემიის გადახდის ვალდებულებას. ამ დროს მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება დამზღვევის გაფრთხილების ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. ზემოთ მითითებული ნორმები წარმოადგენს უფლებადამდგენ ნორმებს და არ ავალდებულებს მზღვეველს გამოიყენოს მასში მითითებული ღონისძიებები.

სასამართლომ განმარტა, რომ თუ დამზღვევმა არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული 816-817-ე მუხლებით დადგენილი ხელშეკრულების მოშლის წესები, ხელშეკრულება ძალაშია და ორივე მხარე ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო პრემიის დაკისრების საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს. უნდა დადგინდეს იყო თუ არა დაზღვევა მოშლილი და შესაბამისად, იყო თუ არა ვალდებული სადაზღვევო კომპანია გადაეხადა თანხა მოპასუხისათვის თუ ამ პერიოდში სადაზღვევო შემთხვევა დადგებოდა.

სამოქალაქო კოდექსის და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის პროცედურები რომ დაცული იქნა სასამართლომ ვერ დაადგინა. ვინაიდან მოპასუხეს არ შეუტყობინებია მოსარჩელისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხოლო სადაზღვევო კომპანიას არ გამოუყენებია თავისი უფლება ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, ხელშეკრულების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული და კანონით დადგენილი 816-817-ე მუხლების დანაწესის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზღვევის ხელშეკრულება მოშლილი არ არის, რის გამოც სადაზღვევო კომპანია ვალდებული იქნებოდა გადაეხადა თანხა მოპასუხისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. ის გარემოება, რომ მოპასუხეს არ უსარგებლია მოსარჩელის მომსახურებით არ წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის გადახდაზე უარის თქმის საფუძველს.

ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაზღვევო-სამართლებრივი ურთიერთობის არც ერთ მონაწილეს არ გამოუვლენია სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისაკენ მიმართული ნება. შესაბამისად, 2012 წლის 1 ივნისის სადაზღვევო ურთიერთობა მხარეებს შორის არ შეწყვეტილა და გრძელდებოდა. დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „ა.-მ“ სადაზღვევო პრემიის ნაწილი გადაიხადა, ხოლო გადასახდელი დარჩა 6050 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაბუთებულია მოსარჩელის მოთხოვნა სადაზღვევო პრემიის დაკისრების თაობაზე და სახეზეა სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები;

2.7. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სს „ი. ე.-ს“ მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით შპს „ა.-სათვის“ 1633,14 ლარის და სარჩელის შემოტანიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1,90 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი



შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი თავისი სამართლებრივი ბუნებით ზიანის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია ყველა ის ელემენტი, რომელიც ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის არის გათვალისწინებული.

მიუღებელი შემოსავალიც, ისევე როგორც ზიანი, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და დადასტურებული უტყუარი მტკიცებულებებით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეთა მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში იგი თანხას შეიტანდა ზანკში ანაბარზე და მოგების სახით მიიღებდა სარგებელს.

სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა, თავისთავად, ზიანის მომტანია მხარისთვის, რადგან კრედიტორს ყოველთვის აქვს შესრულების მოლოდინი და შესრულება მისთვის ყოველთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევამ დამატებითი ზიანი მიაყენა კრედიტორს. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი დგება, როდესაც ვალდებულების შესრულებით კრედიტორს გარკვეული შემოსავლის წყარო გაუჩნდებოდა, დამატებით მატერიალურ სიკეთეს შეიძენდა, რაც ვერ განხორციელდა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამგვარი გარემოება საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით არ იკვეთება.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

სს „ი. ე.“-ს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ - სამართლებრივი საფუძვლები

3.1. არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დასტურდება გარემოება, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით კრედიტორმა გარკვეული შემოსავალი დაკარგა. აპელანტის განმარტებით, მოსარჩელე კომპანიის ერთ-ერთ შემოსავლის წყაროს, სწორედ, ანაბრებზე თანხების განთავსების გზით სარგებლის მიღება წარმოადგენს, რაც სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად არ გაიზიარა.

შპს „ა.-ს“ სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ - სამართლებრივი საფუძვლები

3.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ შპს „ა.-სა“ და სს „ი. ე.-ს“ შორის ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება არსებობდა, რომლის ვადაც მხარეებმა 12 თვით განსაზღვრეს. სასამართლოს ასეთი დასკვნა ემყარება საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულების ასლს, რომელიც მხარეთა ხელმოწერით დადასტურებული არ არის.

3.3. მცდარია სასამართლოს დასკვნა, რომ ხელშეკრულებაზე ე.წ. „დანართებად“ მითითებული დოკუმენტები მხარეთა შორის ხელშეკრულების 12 თვიანი ვადით დადების დამადასტურებელი მტკიცებულებაა. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აღნიშნული დანართები ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით რაიმე სახის დათქმას ან დებულებას არ შეიცავს.



4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. 2012 წლის 1 ივნისს მოპასუხე შპს „ა.-სა“ და სს „ი. ე.“-ს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება დაიდო, რომლის საფუძველზეც შპს „ა.-მ“ თავისი თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობა დააზღვია. აღნიშნული გარემოება მოპასუხის მიერ სადავოდ არ არის გამხდარი.

4.2. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილია, რომ შპს „ა.-მ“ სს „ი. ე.-სათვის“ გადახდილი აქვს ორი თვის (ივნისისა და ივლისის) სადაზღვევო პრემია - 1210 ლარის ოდენობით (ტ.1. ს.ფ. 42-43).

4.3. მოსარჩელე ითხოვს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურებას, რაც სარჩელის თანახმად, სს „ი. ე.-სა“ და შპს „ა.-ს“ შორის, 2012 წლის 01 ივნისის №01/06/2012-26 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად წარმოიშვა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ ხელშეკრულების დანართ #2-ში მითითებული პირები ხელშეკრულების საფუძველზე 12 თვის ვადით დააზღვია და ჯამში, 7260 ლარის ოდენობით სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება იკისრა, თუმცა, მხოლოდ ორი თვის პრემია - 1210 ლარი გადაიხადა.

მოპასუხე შპს „ა.“ აღიარებს მხარეთა შორის სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, თუმცა, ამტკიცებს, რომ სადაზღვევო მომსახურების შესახებ შეთანხმება ორთვიანი იყო და მისი ვადის გაგრძელება დამზღვევის მიერ მზღვევლის შემოთავაზებული მომსახურების მოწონებაზე იყო დამოკიდებული. მოპასუხის განმარტებით, შეთანხმებული ვადის (ორი თვის) გასვლის შემდგომ შპს „ა.-მ“ გადაწყვიტა, რომ მოსარჩელესთან სადაზღვევო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება აღარ გაეგრძელებინა, რის შესახებაც სადაზღვევო კომპანიას ზეპირი (სატელეფონო) შეტყობინებით აცნობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო ურთიერთობებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობები 2012 წლის აგვისტოს თვიდან შეწყდა და შესაბამისად, შპს „ა.-ს“ სს „ი. ე.-ს“ წინაშე არანაირი ვალდებულება არ გააჩნია.



ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის შეფასების საგანია მხარეთა შორის წარმოშობილი სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობების - დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლები.

4.4. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს „ა.-სა“ და სს „ი. ე.“-ს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება 12 თვის ვადით დაიდო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო ხელშეკრულების მოქმედების 12 თვიანი ვადის შესახებ დათქმას საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 01 ივნისის №01/06/2012-26 ხელშეკრულების 5.1. პუნქტი შეიცავს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2012 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 1 ივნისამდე პერიოდით განისაზღვრა, თუმცადა, სამართლებრივ პრობლემას წარმოშობს ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მხარეთა მიერ ხელმოწერილი არ არის. მოსარჩელე აღნიშნული ვითარების საპირისპიროდ, სადავო ხელშეკრულების 8.6. პუნქტის პირობაზე მიუთითებს (რომლის მიხედვითაც „#1, #2 და #3 დანართები ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“) და განმარტავს, რომ ხელშეკრულება და მისი დანართები ერთ მთლიან დოკუმენტს წარმოადგენს და შესაბამისად, მოპასუხის მიერ დანართებზე ხელმოწერა მთლიან ხელშეკრულებაზე ხელმოწერად უნდა შეფასდეს. გარდა ამისა მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების ვადა რომ 12 თვით იყო განსაზღვრული, მხარის მიერ ხელმოწერილი #1 დანართის შინაარსითაც დასტურდება, რომლითაც მხარეებმა სწორედ 12 თვის სადაზღვევო პრემიის ოდენობა განსაზღვრეს.

პალატა ვერ გაიზიარებს მოსარჩელის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს და განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ დანართებზე შესრულებული ხელმოწერის მთლიან ხელშეკრულებაზე ხელმოწერად მიჩნევის წინაპირობა იარსებებდა იმ შემთხვევაში, თუკი, დათქმა იმის თაობაზე რომ „დანართები ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია“, მხარის მიერ უშუალოდ ხელმოწერილ დოკუმენტში - დანართში იქნებოდა მითითებული. მოცემულ შემთხვევაში კი, ზემოაღნიშნული პირობა (ხელშეკრულების 8.1. პუნქტი) გათვალისწინებულია იმ დოკუმენტში (ხელშეკრულებაში), რომელიც მხარის მიერ ხელმოწერილი არ არის, რაც იმას ნიშნავს რომ აღნიშნულ პირობას იურიდიული ძალა არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მტკიცება, რომ დანართებზე შესრულებული ხელმოწერა ძირითად ხელშეკრულებაზე ხელმოწერად უნდა შეფასდეს, საფუძველს მოკლებულია, მოპასუხე მხარის მიერ ასეთი ნების გამოვლენის არარსებობის გამო.

პალატა ვერ გაიზიარებს ასევე, მოსარჩელის პრეტენზიას, რომ ხელშეკრულების მოქმედების 12 თვიანი ვადის არსებობა სადავო ხელშეკრულების #1 დანართის საფუძველზეც დასტურდება. პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნათა საპირისპიროდ, #1 დანართი (და არც სხვა დანართები) არ შეიცავს შეთანხმებას ხელშეკრულების ისეთ არსებით პირობაზე, როგორიც ხელშეკრულების მოქმედების ვადაა. პალატის მოსაზრებით, აღნიშნული დანართის ერთ-ერთ გრაფაში მითითებული სადაზღვევო პრემიის წლიური ოდენობის შესახებ ინფორმაცია ვერ შეფასდება ხელშეკრულების მოქმედების ვადად. საგულისხმოა, რომ



მოსარჩელის აღნიშნული მტკიცების საპირისპიროდ, ამავე დანართის შემდეგი გრაფა, რომელიც ასევე შეიცავს ინფორმაციას სადაზღვევო შესატანის (ოჯახურ პაკეტზე) შესახებ, მითითებულია მხოლოდ ყოველთვიური სადაზღვევო შესატანის ოდენობა, რაც აქარწყლებს მოსარჩელის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებმა დანართში ერთი წლის სადაზღვევო პრემიის ოდენობა იმიტომ განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულება 12 თვის ვადით დაიდო.

პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალი ნების გამოვლენის შესაძლებლობას ითვალისწინებს როგორც ზეპირი ან წერილობითი გარიგების საფუძველზე, ისე კონკლუდენტური მოქმედებებითაც. მოცემულ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მხარეთა ნება 12 თვიანი ხელშეკრულების შესახებ, წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით არ დასტურდება, ასეთი ნება არც კონკლუდენტური მოქმედებით არის გამოხატული. აღნიშნულ კონტექსტში პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს: სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლით მოწესრიგებულია დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის წესი სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის გამო. აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი. სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნული ნორმა უფლებადამდგენ ნორმას წარმოადგენს და მზღვეველს არ ავალდებულებს გამოიყენოს მასში მითითებული ღონისძიება, თუმცა, პალატას საგულისხმოდ მიაჩნია გარემოება იმის შესახებ, რომ დამზღვევმა ეს უფლება ხელშეკრულების მოქმედების (სარჩელის მიხედვით) არც ერთ ეტაპზე არ გამოიყენა. უფრო მეტიც, ამ დროის განმავლობაში მზღვეველი არც სადაზღვევო შენატანის მოთხოვნით მიმართავს დამზღვევს. ამასთან, არსებითი მნიშვნელობისაა, ის ფაქტიც, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ სადავო პერიოდში თავად მოპასუხე მხარემ (დამზღვევმა) ან მისმა დაზღვეულმა სუბიექტებმა (დაზღვეულებმა), თუნდაც, ერთხელ მაინც, მომსახურების მოთხოვნით სადაზღვევო კომპანიას მიმართეს. აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობა კი, პალატის მოსაზრებით, ირიბად (კონკლუდენტურად) ადასტურებს მოპასუხის შედაგებას, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობები 2012 წლის აგვისტოს თვიდან შეწყდა. პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება დამზღვევის, დაზღვეულთა, თუ მზღვეველის მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელების ფაქტი, რომელიც სასამართლოს შეუქმნიდა მტკიცებულებით გამყარებულ შინაგან რწმენას მასზედ, რომ სადავო ხელშეკრულება ერთწლიანი იყო. პალატა აქვე დამატებით აღნიშნავს, რომ სადაზღვევო ურთიერთობაში ვადა ხელშეკრულების პირობაა, შესაბამისად, ხელმოუწერელი დოკუმენტის (ხელშეკრულების) არსებობის პირობებში სწორედ მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ხელშეკრულების ერთწლიანი ვადის არსებობის ფაქტი.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნებისათვის, კანონმდებლობა ადგენს დასაშვები მტკიცებულებების ნუსხას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმა წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად, პროცესუალურ სტანდარტს და ადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი სათანადო გარემოებებზე მითითებითა და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, იმ გარემოების დადასტურება, რომ სადავო სადაზღვევო ხელშეკრულება მოქმედების 12 თვიან ვადას ითვალისწინებდა, თუმცა მოსარჩელემ ვერ შეძლო აღნიშნული გარემოების სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება.



4.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა სს „ი. ე.-ს“ წინაშე შპს „ა.-ს“ მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების არსებობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სარჩელის ძირითად მოთხოვნაზე უარის თქმის პირობებში, არ არსებობს ასევე, მიუღებელი შემოსავლის შესახებ მოთხოვნაზე მსჯელობის სამართლებრივი წინაპირობა.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ა.-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად (სარჩელი არ დაკმაყოფილდა), შესაბამისად, სს „ი. ე.-ს“ შპს „ა.-ს“ სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს წინასწარ გადახდილი ბაჟის ანაზღაურება 242 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. სს „ი. ე.-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ა.-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ;
3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება;



4. სს „ი. ე.-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. სს „ი. ე.-ს“ შპს „ა.-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს წინასწარ გადახდილი ბაჟის ანაზღაურება 242 ლარის ოდენობით;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
7. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია;

მოსამართლე

ქეთევან მესხიშვილი